საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

№ 12/10/192 „30" 01 2017 წ.

სსიპ ვასილ განჯელაშვილის სახელობის
გორის მუნიციპალიტეტის სოფ. სვენეთის
საჯაროს სკოლის დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელს, ელენე საათაშვილს

ასლი: საქართველოს კულტურისა და
ძეგლთა დაცვის სამინისტროს

ქალბატონო ელენე,

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 15.12.2016 წლის №MES 5 16 01496144 წერილი (სააგენტოში რეგისტრაციის №2299, 16.12.2016) თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომლითაც მოითხოვნილია სააგენტოს პოზიცია სსიპ სსიპ ვასილ განჯელაშვილის სახელობის გორის მუნიციპალიტეტის სოფ. სვენეთის საჯაროს სკოლის ტერიტორიაზე არსებული შენობების (ს/კ:66.54.18.195, ძველი საქვაბე, ძველი საპირფარეშო და ტრანსპორტირების ჯიხური) დემონტაჟის თაობაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სააგენტოს სპეციალისტების მიერ განხორციელდა წერილში მითითებული შენობა-ნაგებობების ადგილზე შესწავლა. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შენობები ამორტიზირებულია და არც ერთ მათგანს არ გააჩნია ისტორიული, მხატვრული და კულტურული ღირებულება. შესაბამისად, სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში არ არის წინააღმდეგი ზემოაღნიშნულ ნაგებობებზე განხორციელდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

პატივისცემით,
გენერალური დირექტორი ნ. ანთაძე

100690
06/02/2017

0105 ქ. თბილისი თაბუკაშვილის ქ. №5, კრწანისის ქ. №58, ტელ. (+995 32) 2 180 690, 2 180 599
5 Tabukashvili str. 58 Krtsanisi str. Tbilisi 0105, Georgia. (+995 32) 2 180 690, 2 180 599
www.heritagesites.ge email: info@heritagesites.ge